# შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელი

დამტკიცებულია
შპს საზოგადოებრივი კოლეჯ ფანასკერტელის დირექტორის
2019 წლის 15 ივლისის N18 ბრძანებით
შევიდა ცვლილება კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 18 ოქტომბრის N38 ბრძანებით
შევიდა ცვლილება კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 19 თებერვლის N2 ბრძანებით
შევიდა ცვლილება კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 26 ივნისის N38 ბრძანებით
შევიდა ცვლილება კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 30 ივნისის N40 ბრძანებით
შევიდა ცვლილება კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 26 თებერვლის N670 ბრძანებით
შევიდა ცვლილება კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 26 თებერვლის N667 ბრძანებით
შევიდა ცვლილება კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 13 მარტის N915 ბრძანებით
შევიდა ცვლილება კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 14 სექტემბრის N4092 ბრძანებით
შევიდა ცვლილება კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 30 ოქტომბერი N6528 ბრძანებით
შევიდა ცვლილება კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 4 ნოემბერი N6782 ბრძანებით
შევიდა ცვლილება კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 13 ივნისის N4539 ბრძანებით
შევიდა ცვლილება კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 20 სექტემბერი N7037 ბრძანებით
შევიდა ცვლილება კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 16 ნოემბრის N11070 ბრძანებით
შევიდა ცვლილება კოლეჯის დირექტორის 2023 წლის 11 ნოემბრის N14158 ბრძანებით
შევიდა ცვლილება კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 13 ივლისის N8376 ბრძანებით
შევიდა ცვლილება კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 12 ნოემბრის N17895 ბრძანებით
შევიდა ცვლილება კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 17 დეკემბრის N21594 ბრძანებით

## პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

## საექთნო განათლება

**საკონტაქტო ინფორმაცია:**
**მისამართი: ქ. თელავი, ლესელიძის ქ. N1**
**ტელეფონი: +995599402020**
**ელ-ფოსტა: info@fanaskerteli.edu.ge**
**პროგრამის ხელმძღვანელი: ლალი ხოსმაზარაშვილი**

# შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელი

1. **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (შემდგომში - ჩარჩო დოკუმენტი) სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე -** საექთნო განათლება / Nursing

2. **დამტკიცების/ცვლილების თარიღი:** 21.05.2018 / 31.01.2019 / 07.02.2019 / 22.02.2019 / 16.04.2019 / 19.02.2020 / 11.02.2021/15.09.2021

3. **სარეგისტრაციო ნომერი** 09109-პ

4. **პროგრამის განხორციელების ფორმა** -კოოპერაციული

5. **მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე** - უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში/ Higher Vocational Qualification in Nursing

აღნიშნული კვალიფიკაცია განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCED) მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს - „საექთნო და სამეანო საქმე", კოდი 0913, აღწერი - *"შეისწავლის ავადმყოფი, სნეული ან სპეციალური საჭიროებების მქონე პირების ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფას და ექიმებისა და სხვა სამედიცინო და ჯანდაცვის პერსონალისთვის დახმარების გაწევას პაციენტების დიაგნოზის დასმისა და მკურნალობის დროს. საექთნო საქმის კვალიფიკაცია ფოკუსირებულია ავადმყოფობისა და რეაბილიტაციის დროს პაციენტების ჯანმრთელობის შენარჩუნებასა და მოვლაზე. ის მოიცავს მოხუცების და ასევე სპეციალური საჭიროებების მქონე ადამიანების ჯანდაცვას. სამეანო საქმე შეისწავლის ქალის მოვლას (ჯანმრთელობის დაცვას) ორსულობის, მშობიარობისა და მშობიარობის შემდგომ პერიოდში. ის ასევე მოიცავს ჩვილის მოვლასა და დახმარებას მეძუძური დედებისთვის."*

6. **მიზანი**

პროგრამის მიზანია უზრუნველყოს ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი, ზოგად მოვლაზე პასუხისმგებელი ექთნის მომზადება.

7. **დაშვების წინაპირობა -** სრული ზოგადი განათლება

8. **დასაქმების სფერო და შესაძლებლობები**

**საექთნო საქმეში** კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს ჯანდაცვის სფეროში, სხვადასხვა პროფილის სამედიცინო დაწესებულებებში, შინმოვლის სფეროში, სხვა ტიპის ორგანიზაციებში, რომლებიც საჭიროებს საექთნო მომსახურებას.

- ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდები: 86.1; 86.10; 86.10.0; 86.2; 86.21; 86.21.0; 86.22; 86.220; 86.23; 86.23.0; 86.9; 86.90; 86.90.0.
- დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO) კოდი: 3221

9. **პროგრამის მოცულობა და სავარაუდო ხანგრძლივობა:**

**იმ პირებისთვის, რომელთაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია**

- **მოცულობა:** 210 კრედიტი
- **სავარაუდო ხანგრძლივობა:** 3 წელი და 6 სასწავლო თვე

**იმ პირებისთვის, რომელთაც უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია**

- **მოცულობა:** 180 კრედიტი
- **სავარაუდო ხანგრძლივობა:** 3 სასწავლო წელი

**10. სტრუქტურა და მოდულები**

საექთნო განათლებლის ჩარჩო დოკუმენტი ითვალისწინებს 180 კრედიტის რაოდენობის ზოგად და პროფესიულ მოდულებს. ზოგად მოდულთა კრედიტების რაოდენობა შეადგენს 9 კრედიტს, ხოლო პროფესიული მოდულების კრედიტების რაოდენობა კი 171. **საექთნო საქმეში** კვალიფიკაციის მინიჭებისთვის პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს არანაკლებ **180 კრედიტი.**

მოდულები კლასიფიცირებულია შემდეგნაირად:

- ზოგადი მოდულები - 9 კრედიტი
- თეორიული სწავლება საბაზო მეცნიერებები - 24 კრედიტი
- თეორიული სწავლება საექთნო საქმე - 45 კრედიტი
- თეორიული სწავლება სოციალური მეცნიერებები - 6 კრედიტი
- პრაქტიკული სწავლება - 6 კრედიტი
- კლინიკური სწავლება - 90 კრედიტი

ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს, როგორც თეორიულ და პრაქტიკულ, ასევე - კლინიკური სწავლების კომპონენტსაც. სწავლება-სწავლის პროცესის ხანგრძლივობა არის არანაკლებ სამი წელი სრული დატვირთვით. კოლეჯი პასუხისმგებელია თეორიული და კლინიკური მეცადინეობის დაგეგმვა-კოორდინაციაზე. ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრული კლინიკური სწავლება სრული მოცულობის ნახევარს (90 კრედიტი) შეადგენს, თუმცა, კოლეჯი უფლებამოსილია, კლინიკური სწავლების გარდა, სხვა კომპონენტებიც დაგეგმოს პრაქტიკის ობიექტზე.

| საექთნო განათლება | | | |
|---|---|---|---|
| **ზოგადი მოდულები** | | | |
| **№** | **მოდულის დასახელება** | **კრედიტი** | **მოდულის სარეგისტრაციო ნომერი** |
| 1 | საინფორმაციო ტექნოლოგიები-საექთნო საქმეში | 2 | 0910924 |

| | | | |
|---|---|---|---|
| 2 | კომუნიკაცია საექთნო საქმეში | 2 | 0910923 |
| 3 | უცხოური ენა - საექთნო საქმეში | 5 | 0910925 |
| | **ჯამი** | **9** | |
| **თეორიული სწავლება - საბაზო მეცნიერებები** | | | |
| **№** | **მოდულის დასახელება** | **კრედიტი** | |
| 1 | ჰისტოლოგია | 2 | 0910918 |
| 2 | ბიოქიმია | 4 | 0910919 |
| 3 | მიკრობიოლოგია | 4 | 0910920 |
| 4 | ანატომია-ფიზიოლოგია | 10 | 0910921 |
| 5 | პათოლოგია (პათანატომია-პათფიზიოლოგია) | 4 | 0910922 |
| | **ჯამი** | **24** | |
| | | | |
| **თეორიული სწავლება საექთნო საქმე** | | | |
| **№** | **მოდულის დასახელება** | **კრედიტი** | |
| 1 | დოზირების პრინციპები საექთნო საქმეში | 4 | 0910901 |
| 2 | ფარმაკოლოგია | 5 | 0910902 |
| 3 | ტერმინოლოგია და დოკუმენტაცია საექთნო საქმეში | 2 | 0910903 |
| 4 | ინფექციის კონტროლის საფუძვლები | 2 | 0910904 |
| 5 | გერონტოლოგია და გერიატრიის საფუძვლები | 3 | 0910905 |
| 6 | ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები | 6 | 0910906 |
| 7 | თერაპიული პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები | 7 | 0910907 |

| | | | |
|---|---|---|---|
| 8 | გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები | 3 | 0910908 |
| 9 | კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები და ანესთეზია | 5 | 0910909 |
| 10 | სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები | 2 | 0910910 |
| 11 | პედიატრია და მოზარდები | 3 | 0910911 |
| 12 | ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია | 3 | 0910912 |
| | **ჯამი** | **45** | |

| **თეორიული სწავლება სოციალურ მეცნიერებები** | | | |
|---|---|---|---|
| | | | |
| **№** | **მოდულის დასახელება** | **კრედიტი** | |
| 1 | საექთნო პრაქტიკის პრინციპები სხვადასხვა ტიპის სამედიცინო დაწესებულებებში | 1 | 0910913 |
| 2 | სამართლებრივი ასპექტები საექთნო საქმეში | 3 | 0910914 |
| 3 | საექთნო მენეჯმენტის საფუძვლები | 2 | 0910915 |
| | **ჯამი** | **6** | |

| | | | |
|---|---|---|---|
| **პროფესიული მოდულები - პრაქტიკული სწავლება**<br>(შესაძლებელია როგორც საგანმანათლებლო დაწესებულებაში ასევე კლინიკაში) | | | |
| **№** | **მოდულის დასახელება** | **კრედიტი** | |

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ავადმყოფის მოვლა | 4 | 0910916 |
| 2 | შინმოვლა | 2 | 0910917 |
| | **ჯამი** | **6** | |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | |
| **პროფესიული მოდულები - კლინიკური სწავლება** | | | |
| **№** | **მოდულის დასახელება** | **კრედიტი** | |
| 1 | კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა | 11 | 0910938 |
| 2 | შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა | 6 | 0910939 |
| 3 | კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა | 11 | 0910928 |
| 4 | შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა | 6 | 0910929 |
| 5 | კლინიკური პრაქტიკა- გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა | 10 | 0910926 |
| 6 | შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა | 5 | 0910927 |
| 7 | კლინიკური პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა | 12 | 0910930 |
| 8 | შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა | 4 | 0910931 |
| 9 | კლინიკური პრაქტიკა - სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა | 6 | 0910934 |
| 10 | შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა | 3 | 0910935 |

| | | | |
|---|---|---|---|
| 11 | კლინიკური პრაქტიკა- პედიატრია და მოზარდები | 7 | 0910932 |
| 12 | შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - პედიატრია და მოზარდები | 3 | 0910933 |
| 13 | კლინიკური პრაქტიკა - ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია | 3 | 0910936 |
| 14 | შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია | 3 | 0910937 |
| | **ჯამი** | **90** | |

11. **სწავლის შედეგები:**

კურსდამთვრებულს შეუძლია:

1. შეაფასოს პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა
2. განახორციელოს თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა
3. განახორციელოს ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა
4. განახორციელოს გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა
5. განახორციელოს კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა
6. განახორციელოს პერიოპერაციული პაციენტის საექთნო მართვა
7. განახორციელოს სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა
8. განახორციელოს პედიატრიული პაციენტის საექთნო მართვა
9. განახორციელოს და უზრუნველყოს შინმოვლის მომსახურების გაწევა
10. განახორციელოს და უზრუნველყოს გერიატრიული პაციენტის საექთნო მართვა
11. დაგეგმოს და განახორციელოს საკუთარი პრაქტიკისა და მოვლის ხარისხის შეფასება.

**10. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება**

სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია განმავითარებელი და/ან განმსაზღვრელი შეფასებით. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე - ჩათვლის პრინციპის გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

კლინიკური სწავლების მოდულების შეფასების ინსტრუმენტად და მტკიცებულებად, ტრადიციული ინსტრუმენტების ალტერნატივად, შესაძლებელია გამოყენებულ იქნას პროფესიული სტუდენტის მიერ დეტალურად შევსებული და კლინიკური მოდულის განმახორციელებელი პირის მიერ ხელმოწერით დადასტურებული ჩანაწერების ჟურნალი,

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში, თუ აღნიშნული მოდული არ წარმოადგენს სხვა მოდულის წინაპირობას, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის განმეორებითი შეფასება.
განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში, თუ აღნიშნული მოდული წარმოადგენს სხვა მოდულის წინაპირობას, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს აღნიშნული მოდულის სწავლის შედეგები დაადასტუროს მომდევნო მოდულის დაწყებამდე. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

**11. კვალიფიკაციის მინიჭება**

კვალიფიკაციის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები, მიიღოს მონაწილეობა შუალედურ შეფასებაში და ჩააბაროს საკვალიფიკაციო გამოცდა.
კვალიფიკაციის მინიჭება შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ფანასკერტელის პრეროგატივაა .

**12. კლინიკური სწავლების განხორციელების თავისებურებები და განმახორციელებელი პირის საკვალიფიკაციო მოთხოვნები**

კლინიკური სწავლება არის ექთნის მომზადების ის ნაწილი, სადაც მომავალი ექთანი, როგორც გუნდის წევრი, ჯანმრთელ პირებთან და პაციენტებთან ან/და თემთან პირდაპირი კონტაქტის საშუალებით უკვე შეძენილი ცოდნითა და უნარებით ერთვება რეალურ სამუშაო გარემოში. კლინიკური სწავლება-სწავლა საავადმყოფოებსა ან/და სხვა სამედიცინო დაწესებულებებში, საზოგადოებაში, მოსახლეობაში უნდა მიმდინარეობდეს საექთნო საქმის პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და სხვა კვალიფიციური ექთნების ზედამხედველობის ქვეშ.

კლინიკური სწავლების განმახორციელებელი პირის, როგორც პროფესიული განათლების მასწავლებლის მიმართ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრამდე კლინიკურ სწავლა-სწავლების პროცესში პრაქტიკის ობიექტის მხრიდან ჩართული ექთნები უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს:

**კლინიკურ სწავლება-სწავლის პროცესში ჩართული ექთნების საკვალიფიკაციო მოთხოვნები**

| | |
|---|---|
| განათლება | საექიმო/სამედიცინო უმაღლესი განათლება/ზებიაქალის პროფესიული ან უმაღლესი განათლება/საექთნო საქმეში პროფესიული ან უმაღლესი განათლება |
| სამუშაო გამოცდილება | საექთნო სფეროში მუშაობის არანაკლებ 3 წლიანი გამოცდილება და პროფესიული სტუდენტებისათვის შესაბამისი კლინიკური მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია |

**კლინიკური სწავლება-სწავლის მიმართ დამატებითი მოთხოვნა**

კლინიკური სწავლება-სწავლის განმახორციელებელი პირის და პროფესიული სტუდენტების თანაფარდობაა - 1/7.

**13. პრაქტიკის ობიექტის კრიტერიუმები**

პრაქტიკის ობიექტს კანონმდებლობით დადგენილი წესით უნდა გააჩნდეს კლინიკური სწავლების მოდულით გათვალისწინებული მიმართულებით საქმიანობის უფლება, რაც დასტურდება შესაბამისი მარეგულირებლის მიერ გაცემული ოფიციალური დოკუმენტით.

**14. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირის სწავლებისათვის**

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია ამავე ჩარჩო დოკუმენტით გათვალისწინებული წესით.

**15. ქართული ენა A2 და ქართული ენა B1**

მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.

# შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელი

**ზოგადი მოდულები:**

**დანართი N 1.1** - საინფორმაციო ტექნოლოგიები- საექთნო საქმეში

**დანართი N 1.2** - კომუნიკაცია საექთნო საქმეში

**დანართი N 1.3** - უცხოური ენა - საექთნო საქმეში

**თეორიული სწავლება - საბაზო მეცნიერებები:**

**დანართი N 2.1** - ჰისტოლოგია

**დანართი N 2.2** - ბიოქიმია

**დანართი N 2.3** - მიკრობიოლოგია

**დანართი N 2.4** - ანატომია - ფიზიოლოგია

**დანართი N 2.5** - პათოლოგია (პათანატომია-პათფიზიოლოგია)

**თეორიული სწავლება საექთნო საქმეში:**

**დანართი N 3.1** - დოზირების პრინციპები საექთნო საქმეში

**დანართი N 3.2** - ფარმაკოლოგია

**დანართი N 3.3** - ტერმინოლოგია და დოკუმენტაცია საექთნო საქმეში

**დანართი N 3.4** - ინფექციის კონტროლის საფუძვლები

**დანართი N 3.5** - გერონტოლოგია და გერიატრიის საფუძვლები

**დანართი N 3.6** - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები

**დანართი N 3.7** - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები

**დანართი N 3.8** - გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები

**დანართი N 3.9** - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები და ანესთეზია

**დანართი N 3.10** - სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები

## შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელი

**დანართი N 3.11** - პედიატრია და მოზარდები

**დანართი N 3.12** - ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია

**თეორიული სწავლება სოციალურ მეცნიერებებში:**

**დანართი N 4.1** - საექთნო პრაქტიკის პრინციპები სხვადასხვა ტიპის სამედიცინო დაწესებულებებში

**დანართი N 4.2** - სამართლებრივი ასპექტები საექთნო საქმეში

**დანართი N 4.3** - საექთნო მენეჯმენტის საფუძვლები

**პრაქტიკული სწავლება:**

**დანართი N 5.1** - ავადმყოფის მოვლა

**დანართი N 5.2** - შინმოვლა

**კლინიკური სწავლება:**

**დანართი N 6.1** – კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა

**დანართი N 6.2** - შემაჯამაბელი კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა

**დანართი N 6.3** - კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა

**დანართი N 6.4** - შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა

**დანართი N 6.5** - კლინიკური პრაქტიკა - გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა

**დანართი N 6.6** - შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა

**დანართი N 6.7** - კლინიკური პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა

**დანართი N 6.8** - შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა

**დანართი N 6.9** - კლინიკური პრაქტიკა - სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა

**დანართი N 6.10** - შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა

**დანართი N 6.11** - კლინიკური პრაქტიკა - პედიატრია და მოზარდები

**დანართი N 6.12** - შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - პედიატრია და მოზარდები

**დანართი N 6.13** - კლინიკური პრაქტიკა - ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია

**დანართი N 6.14** - შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია

**ქართული ენის მოდულები:**

**დანართი N 7.1** ქართული ენა A2

**დანართი N 7.2** ქართული ენა B1

**დანართი № 8 - მატერიალური რესურსის ჩამონათვალი;**

**დანართი № 9 - პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი**

**დანართი № 10 - სასწავლო გეგმა**